№ 10
კვირა
6 სექტემბერი
1909 წ.

# მომავალი

№ 10
კვირა
6 სექტემბერი
1909 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთის ღირს:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 **სექტემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 3 მან. თფილისს გარეთ 3 მან. 20 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც)

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ.; უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერადა დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე.

რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შეხახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:**
რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**
Тифлисъ, тип. „Сорапань“, Калистрату Конст. Цуладзе.





წიგნის გამომცემელი ამხანაგობა

## „ალიონი“

(Тифлисъ, Кирочная № 9).

ა. ბოგდანოვის „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსის“ შემდეგ მესამე წიგნათ (დაახლოვებით მომავალი წლის გაზაფხულზე) ხელის მოწერითვე გამოიცემა ჩვენი ახალგაზდა მწერლების საუკეთესო ლექსთა კრებული „**გაზაფხული**“. კრებულის პირველ ნაწილში შემდეგ ახალგაზდა ავტორთა ლექსები დაიბეჭდება:

**ბ. ახოსპირელი, ბაბ—ი, ბაჩანა, განდეგილი, კ. გოგოლაძე, ი. გრიშაშვილი, ი. ევდოშვილი, ნ. ზომლეთელი, დ. თომაშვილი, იასამანი, რ. ლეჩხუმელი, კ. მაყაშვილი, დუტუ მეგრელი, შ. მღვიმელი. დ. ნინოწმინდელი, კნ. ნ. ორბელიანისა, თ. რაზიკაშვილი, ვ. რუხაძე, სილოვან, ვ. ტუქსიშვილი, ვაჟა ფშაველა, ა. შანშიაშვილი, ცახელი, დარია ხუნდაძე** და სხვ.

დაიბეჭდება 15-ზე არა ნაკლები ლექსი თითოეულ ავტორისა ამათი სურათებით. ავტორთა სურვილით კრებულში შეიძლება ჯერ დაუბეჭდავი ლექსი დაიბეჭდოს. კლიშები და სურათები დამზადდება საზღვარ-გარეთ. გამომცემლობამ მიზნის შესაფერათ სცნო თვითეულ ავტორს მიანდოს თავის ლექსების რედაქცია. ამათთვე გამომცემლობა დაწვრილებით ცნობებს ცალკე წერილებით შეატყობინებს. კრებულში შეიძლება **დაიბეჭდოს** ავტორთა ავტობიოგრაფია ან ბიოგრაფია, როგორც ამას საჭიროთ დაინახავს სარედაქციო კომისია. კომისიასავე მიენდობა კრებულის მეორე ნაწილის შედგენა. ამ ნაწილში დაიბეჭდება სხვა ახალგაზდა ავტორთა ლექსები. კომისიის წევრების ვინაობას შემდეგ გამოვაცხადებთ.

(1—1) „ალიონი“-ს გამგე **ვ. გადილია.**

## მკერვალი ქალი

ვიღებ მოსწავლეებს განურჩევლათ ხნოვანებისა. ვასწავლი ჭრასა და ხატვას სამი თვის განმავლობაში.

**ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია.**

**დუშეთის ქუჩა № 7.**

წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა

## „იმერეთი“

**(წინანდელი „კოლხიდა“ ქუთაისში)**

1 ენკენისთვიდან ხსნის განყოფილებას გემნაზიის ქ. ბულვარის პირდაპირ ალ. თუმანოვის სახლებში დაიწყებს ვაჭრობას ქართულ-რუსული **სახელმძღვანელოებით, სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთებით, რვეულებით, ღია ბარათებით, ფოსტის და ღერბის მარკებით და სხვა.**

კანტორას მოდის მუდამ დღე ყველა ადგილობრივი და სატახტო უფრო გავრცელებული **ჟურნალ-გაზეთები** და იღებს იმათზე **ხელის მოწერას.** ვისაც სურს ახალი გაზეთები დილითვე მიიღოს ბინაზე,—უნდა ჩაეწეროს კანტორაში, აჩვენოს ადრესი და კანტორის მეგაზეთეები მიუტანენ მათ შეკვეთილ გაზეთებს.

მაღაზია ღებულობს: ქართულ-რუსულ **ახალ წიგნებს**, გამოჩენილ მწერლების და მოღვაწეების **სურათებს**, ნახატებიან **ღია ბარათებს** და სხვ.

კანტორა ღებულობს: ყოველ-გვარ **განცხადებებს** გაზეთებში დასასტამბათ‘ **საკომისიოთ** წიგნებს და **წარმომადგენლობას** მთელი გუბერნიისათვის წიგნების გამომცემლების, და რედაქციების და ქაღალდის ფაბრიკებისაგან.

კანტორას შეკვეთილი აქვს საზღვარ-გარეთ რუსულ-ქართული „**რემინგტონი**“ რა მიღებისათანავე დაიწყებს კერძო ფასიან სამუშევრების მიღებას. ფასები გადაწერისა **კანტორაში იქნება გამოცხადებული.**

6—5

## ქალაქის სტიპენდია

განთავისუფლდა პეტერბურგის ქალთა **საექიმო ინსტიტუტში.** სტიპენდია დაენიშნება ქ. თფილისის მცხოვრებ ქალს, რომელსაც გაუთავებია პირველი ან მეორე **თფილისის** ქალთა გიმნაზია განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

თხოვნები საჭირო დოკუმენტებით მიიღება ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილებაში **ამა** წლის სექტემბრის გასვლამდე.

3—6.—2

გამოვიდა და თფილისის საცენზურო კომიტეტში იყიდება: **სია ნება დართულ პიესებისა**

## ქართულ, სომხურ და თათრულ ენაზედ.

შედგენილი **ივ. პოლუმორდვინოვის** მიერ. ფასი ათი შაური. ფულის მაგიერ შეიძლება საფოსტო მარკები გამოიგზავნოს.

3—2

**გაიხსნა ახალი**
**თფილისის**

## კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. გაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ე. გ. ფიდოროვა:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

**ექ. ვ. ღამბაშიძე:** ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

**ექ. ზ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ზ. მ. მაკაროვი:** შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

**ექ. ა. ნ. დიახამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ი. გომართელი:** ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით.

100—55

**С. и Ѳ. Грязновы готовятъ учениковъ въ среднія учебныя заведенія.**

Имѣются группы, готовящихся въ **4, 5 и 6 классъ гимназіи.**

Адресъ: Вера, Измайловскій пер. № 6, въ верхнемъ этажѣ кв. 8. (10—5)

**გამოვიდა**

## დუტუ მეგრელის

**ნაწერების პირველი წიგნი**

## ლექსები

წიგნი 262 გვერდია ჩვეულებრივ ფორმატისა.

ხელის მომწერნი მიიღებენ იმათგან, ვისთანაც ხელი მოაწერეს. ვინც პირდაპირ „დროების“ რედაქციას გამოუგზავნა ფული, წიგნი გაეგზავნება ფოსტით. ცალკე გასასყიდათ წიგნი **ღირს** 70 კაპეიკი (წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20%). ვინც წიგნს დაიბარებს „დროების“ რედაქციიდან, გასაგზავნი არ გადახდება; იმას კი, ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 10 ცალისა და ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, თითო წიგნი დაეთმობა

**სამ აბაზათ**

მოკლე დროში გამოვა მეორე წიგნიც: „**მოთხრობები**“. (3—2)

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.**

კვირას, 6 ენკენისთვეს **1909 წ.**, სახალხო სახლთან არსებულ ქართულ **წარმოდგენების** მმართველ სექციისაგან ბ.ბ. **ა. იმედაშვილისა** და **ი. ივანიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ყაჩაღები

ტრაგედია 5 მოქ. შილლერისა, თარგმ. ნ. ავალიშვილის მიერ.

**მონაწილეობას** მიიღებენ: ქ-ნი ქიქოძე; ბ.ბ. ანაშვილი, ბადრიძე, ბაქრაძე, გოცირიძე, იმედაშვილი, ივანიძე, ზურაბიშვილი, ნარი, რომანიშვილი, რევაზოვი, შათირიშვილი, მეტრეველი და ჯაბაური.

**დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე.**

ადგილების ფასი 5 კაპ. 50 კაპ.

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს, 17 ენკენისთვეს. მზადდება წარმოსადგენათ „**ჭირვეული ცოლის მორჯულება**“ კომ. 4 მოქმ. შექსპირისა; „**შემოსავლიანი ადგილი**“ ოსტროვსკისა და სხ.

**დაბეჯითებით** ვსთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება **სრულიად** აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **შათირიშვილი.**
ადმინისტრატორი **ხვიჩელი.**

**ქ. ქუთაისში**

## თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

## „გუთანი“,

შედგენილი ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ.

(თვ. 0—22)



**თფილისი, 6 სექტემბერი.**

ბაქოს მაძებარი პოლიციის უფროსის დურიევის პროვოკატორული მოღვაწეობა ყველას ყურადღებას იქცევს და ერთხელ კიდევ აყენებს კითხვას განსაკუთრებული წესების მოსპობის შესახებ. განსაკუთრებული უფლების მქონე დურიევი, თვითონ ყოველგვარ დანაშაულობის შემქნელ-შემთხზველი ყველგან და ყოველთვის დანაშაულობას და დანაშაულებს დაეძებდა, ყველგან ამ მიზნით უბრალო და ყოვლათ უდანაშაულო ხალხს ტანჯვას და წვალებას აყენებდა. მისგან არც დღით, არც ღამით მოსვენება არ ჰქონდა არავის და დღეს ირკვევა, რომ ის დაინტერესებული ყოფილა დანაშაულობის შეთხზვაში, „ბომბისტების“ ხელოვნურათ გაჩენაში, ყუმბარების საწყობის გაკეთებაში და მერე მათ ქვეყნის მოსაჩვენებლათ გამოაშკარავებაში, და ამრიგათ, ერთბაშათ ორი კურდღლის დაჭერაში: თავის შერყეული სახელის აღდგენაში და განსაკუთრებული წესების გაგრძელებაში. განა დურიევი ერთია ფართო რუსეთის სივრცეზე, განა მარტო ის სჩადის ამისთანა სამგმირო საქმეებს? ის პატარა მოხელეა, იმაზე ზევით დგანან აზეფები, გარტინგ-ლანდენზენები და სხვანი ათასნი. მათ ყველას ერთი გარკვეული გეგმა აქვთ გამომუშავებული, მთელი რუსეთი დაყოფილი აქვთ უბნებათ და თვითეული მათგანი ცალკე უბნებში ადგილობრივი პირობების მიხედვით მოქმედებენ. ყველას ყურადღებას იქცევდა ამ ბოლო დროს დეპეშების ცნობა: „ბაქოში ქართველები დაიჭირეს გემის გაძარცვის განზრახვაში, ბაქოში სასტუმროში ყუმბარების საწყობი უპოვნეს ქართველებს ელენტს და აბრამაშვილსო“. რატომ მაინცადამაინც ქართველები, იკითხავთ თქვენ. რადგანაც ქართველები ხშირათ არიან ამისთანა საქმეში ამ ბოლო დროს დაჭერილი, ამიტომაც შეთხზულ ამბავსაც, ქართველებზე მიწერილს, უფრო მეტი გასავალი ექნება ქვეყნის თვალშიო, ალბათ, ფიქრობენ ისინი. აი ამას ჰქვია ადგილობრივ პირობების მიხედვით მოქმედება. განსაკუთრებული წესების დროს აზეფები, ასლანოვები, გარტინგები და სხვები გაიზარდენ, განვითარდენ, მათ მთელი შკოლა შექმნეს. ისინი მეთაურობენ კაცების მტაცებლობის, ყუმბარების კეთების, შანტაჟ-ექსპროპრიაციის მოწყობის საქმეებს, ისინი მართავენ დღეს რუსეთს, იმათ ხელშია რუსეთის ხალხის ბედ-იღბალი. ტყუილათ კი არ თქვა დუმაში დეპუტატმა მაკლაკოვმა: „მთავრობა ტყვეთ ჰყავს საიდუმლო პოლიციასო“, ეს ტყვეობა მანამდე გაგრძელდება, სანამ ყოველგვარ განსაკუთრებულ წესებს ბოლო არ მოეღება, ძველ მოხელეებს განსაკუთრებულ წესებს თან არ გააყოლებენ და სახელმწიფოს წესწყობილებას ნამდვილ უფლებრივ ნორმებში არ მოამწყვდევენ. ამისათვის კი საჭიროა სხვა გზა და საშვალება...

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 სექტემბერი.

**სპარსეთი.**

**თეირანი.** თავრიზის ყოფილი გუბერნატორი იჯალულმულკი ყურადალის გუბერნატორათ დაინიშნა. გენერალ-გუბერნატორმა მისწერა მას წავიდეს იქ ფიდაებით, ბაგირ-ხანის წინამძღოლობით, რომ სათარ-ხანთან ერთათ ებრძოლოს რახიმ-ხანს. სათარ-ხანი 200 ცხენოსანით სარაბში სდგას არდებილის შუა გზაზე. აქ მოსულ ცნობებით რახიმ-ხანს დავლა დასცემია. გენერალ-გუბერნატორ მუხბირუს სალთანეს მდგომარეობა გაუმჯობესდა. მან თეირანიდან მიიღო 50,000 თუმანი, შეპირდენ კიდევ 100,000 თუმნის გაგზავნას.

ურმიიდან ჯერ კიდევ დეპეშა არ მოდის. არავითარი ცნობები არ არის.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში დილონის შეკითხვაზე—მართლა რჩება რუსეთის ჯარი ზამთარში ყაზვინში, გრეიმ უპასუხა: რაც წინათ გითხარით ამ კითხვის შესახებ ეხლა მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია. იმედი მაქვს, რომ სპარსეთის საქმეები თანდათან მოწესრიგდება, მაგრამ ეხლა იქ ახალი ხანა დგება და ამიტომ ძნელია გადაჭრილი განცხადება, დარჩება იქ ჯარი თუ არა. მე შემიძლია ვსთქვა, რომ საბუთი მაქვს ვენდო რუსეთის განცხადებას მათი პოლიტიკის შესახებ.

**ოსმალეთი**

**სტამბოლი.** რადგან სახელმწიფო საბჭომ სცნო, რომ ახალი კანონი, არა ყურძნის სპირტით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ გავრცელებულ უნდა იქნას ჯანმრთელობისთვის მავნებელ მაგარ სასმელებზე, მინისტრთა საბჭომ დაადგინა ნება მიეცეთ პურის, ქარხლის და კარტოფილის სპირტით ვაჭრობის.

**რუსეთი**

**კიევი.** კიევის ეპარქიის სამღვდელოებამ სახელმწიფო საბჭოს წევრის კანდიდატათ აირჩა დეკანოზი ტრეგუბოვი.

**ვერხოტურიე.** გაიხსნა მასწავლებელთა სიეზდი. შეიკრიბა 200 მასწავლებელზე მეტი. მონაწილეობას იღებენ ერობათა და სამასწავლებლო საბჭოს წარმომადგენელნი.

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ სანამ ის ებრაელები, რომლებიც ახლა სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში, გაათავებენ სწავლას არსებულ ვადაში, ებრაელთა ვაკანსიები იმ სასწავლებლებში, რომლების შესახებ წესდებაში არ არის გარკვევით აღნიშნული მიღების წესები, უნდა განისაზღვრებოდეს საზოგადო ნორმით.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო იტყობინება ნიჟნიდან, რომ კამენსკის გემზე აფეთქების გამოდატუსაღებული ვიღაც ვალტერი, ტომსკის სატუსაღოს ინსპექტორის ყოფილი თანაშემწეაო, ამის შესახებ მთავარი გამგეობა აცხადებს, რომ ტომსკის სატუსაღოს ინსპექტორის ყოფილი თანაშემწე ვალტერი ამ ჟამათ პეტერბურგში იმყოფება და არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ზემოაღნიშნულ საქმეში. ხოლო პასპორტის წიგნი მას დაუკარგავს. რითაც უსარგებლია ბოროტ-მომქმედს.

**პეტერბურგი.** პოლიციის განკარგულებით ნადეჟდინის ქუჩაზე ერთი სახლიდან ყველა დგმურები გაიყვანეს. მოსალოდნელია სახლი ჩამოინგრეს.

**პეტერბურგი.** ბაპტისტთა სიეზდს ნება დართეს, იმ პირობით, რომ პროგრამიდან გამორიცხონ ის კითხვები, რომლებიც სახელმწიფოს მართლმადიდებელ ეკლესიას და ნებადაურთველ პროპაგანდას ეხებიან.

**სევასტოპოლი.** დილის 11 საათზე ხელმწიფე იმპერატორი ავტომობილით წაბრძანდა მეოთხე ბასტიონზე, სადაც ინახულა ტოტლებენის ძეგლი და შემდეგ დაბრუნდა იახტა „შტანდარტზე“.

**ადესა.** „რუსის ხალხის“ წიგნის მაღაზიაში იპოვნეს ყუმბარა, რომელიც პოლიციაში მიიტანეს და ააფეთქეს.

**ეკატერინოდარი.** მურატჩევთა ფაბრიკაში ცეცხლისაგან ზარალი 80 ათას მანეთს აღემატება. ნაზაროვის ქარხანაში 70 ათას მანეთს.

**ხარკოვი.** ერობის ხმოსანთა და უფ-

როსთა თათბირზე სასურველათ სცნეს სურათის საქმე გლეხებს გადასცენ.

**კიევი**. სოფელ დემიევკაში ყალბი ფულის მკეთებელნი აღმოაჩინეს. იპოვნეს 80 ვეცხლის ფული. დაიჭირეს ხუთი ებრაელი.

**ნოვოჩერკასკი**. „ტიაგის“ უფროსის ინჟენერ ბულიგინის ოთახში, როცა ის იქ მუშაობდა, ყუმბარა დასდეს. ბულიგინმა სუნით გაიგო რომ ყუმბარის მილი, იწოდა და თავს უშველა. დამნაშავები არ აღმოუჩენიათ.

**ხარკოვი**. უნივერსიტეტის რექტორათ ისევ აირჩიეს დ. ბაგალეი.

**ეკატერინოსლავი**. საოლქო სასამართლომ განიხილა 100 გლეხის საქმე, რომელთაც ბრალდებათ 1905 წელს მემამულე ბაიდაგის მამულის განადგურება და გადაუწყვიტა ოცს—ორ-ორი წლის ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, 79-ს სხვადასხვა ვადით სატუსაღო და ერთი გაამართლა. ამასთანავე, მიუსაჯა გადაიხადონ ბაიდაგის სასარგებლოთ 74,000 მანეთი.

**პეტერბურგი**. ხოლერით ავათ გახდა 26, მოკვდა, 17, ავათ არის 333.

**ვიტებსკი**. ერთი კვირის განმავლობაში ავათ გახდა 27, მოკვდა 21, უკანასკნელ დღეებში ავათ გახდა 3.

**საზღვარ-გარეთ.**

**რეჯიო-დი-კალაბრია**. რიაჩში, შუშხუნების საიდუმლო ქარხანაში აფეთქება მოხდა. დაინგრა სამი სახლი. მოკვდა 13 კაცი, დაიჭრა 2.

**ფრანკფურტი მაინზე**. „ცეპელინი მესამე“ შორს გასაფრენათ მზადებას შეუდგა.

**ბელგრადი**. სერბიის „პრეს-ბიურო“ კატეგორიულათ უარს ყოფს იმ ხმებს, თითქოს სერბიაში დინასტიის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდენ, რომლის მიზანია რესპუბლიკის დამყარება. სააგენტოს სიტყვით სერბიაში სრული მშვიდობიანობაა.

**ლონდონი**. საზოგადოებათა პალატაში დილლონი შეეკითხა გრეის: წარუდგენს თუ არა მთავრობა პროტესტს რუსეთში პოლიტიკურ ტუსაღების მოპყრობის შესახებ. გრეიმ უპასუხა: არ შემიძლია გიპასუხოთ იმ კითხვებზე, რომლებიც ევროპის სახელმწიფოთა შინაურ პოლიტიკას ეხებიან, უკეთუ კითხვები საგანგებო ხელშეკრულობის უფლებებზე არ არიან დამყარებული. დილლონმა კითხა: რატომ ერევა ინგლისი მაროკოს შინაურ საქმეებში და ყურადღებას არ აქცევს რუსეთის საქმეებს. გრეიმ უპასუხა: ამ ორი შემთხვევის შედარება არ შეიძლება. მე სავსებით უარს ვყოფ, რომ ის, რაც მაროკოში ხდება ევროპის რომელიმე სახელმწიფოში მოხდეს. ბარსელონის ამბების შესახებ საკითხზე გრეიმ გაიმეორა ზემოთ მოყვანილი პასუხი და დაუმატა: მე რომ ყველა ასეთ კითხვებზე მეპასუხა, ჩქარა ყველა სახელმწიფოებს მტრათ გადავიკიდებდითო.

**ვენა**. ქვედა ავსტრიის სეიმმა ერთხმათ მიიღო წინადადება შეეკითხონ მთავრობას, რატომ უმაღლესი სანქცია არ მიიღო სეიმის იანვრის დადგენილებამ ნემეცურ ენის დაკანონების შესახებ.

კენჭის ყრის დროს ს.-დემოკრატები დარბაზიდან გავიდნენ, კამათის დროს მათ განაცხადეს, რომ ჩეხების შევიწროება ნემეცების პროვინციებში, დამღუპველი იქნება იმ ნემცებისთვის, რომელნიც სხვა მხარეებში ცხოვრობენ, სადაც სლავიანები სჭარბობენ. პრესა დიდ მნიშვნელობას აძლევს ნემეცთა პარტიის ერთსულოვნობას, რასაც გავლენა ექნება ნაციონალური ბრძოლის შემდეგ განვითარებაზე.

# უკანასკნელი ფოსტა

**სპარსეთი.**

**ექს-შახის იმედი**. „ბაქოს“ ატყობინებენ, რომ ექს-შახმა გზაში პირველი შეჩერების შემდეგ უარი განაცხადა მგზავრობის გაგრძობაზე. შიშობენ, რომ ექს-შახს იმედი აქვს გზაში თავისი მომხრეები შეუერთდებიან, მხარს დაუჭერენ და ამ გვარათ, ისევ თეირანში გაბრუნდება.

**„ახალი შახი“**. ვიღაც აბდულ-გუსეინს თავის თავი შახათ გამოუცხადებია და მცხოვრებლებს ხარკს ახდევინებს. სპარსეთის მთავრობამ რაზმი გაგზავნა მატყუარა, ვითომ და შახის შესაპყრობათ.

**სპარსელების უკმაყოფილება**. „ნ. ფრ. პრ“. დაბეჭდილია ერთი პროვინციელი ენჯუმენის დეპეშა, რითაც ის უკმაყოფილებას აცხადებს რუსის ჯარის მოქმედების შესახებ სპარსეთში. დეპეშაში ნათქვამია, რომ გუბერნატორის დაუკითხავათ რუსებმა ჯარი გაგზავნეს ზარბაზნებით კარადახში და ამასთან კიდევ, რუსეთის კონსული მუდამ ერევა სპარსეთის საქმეებშიო.

**ოსმალეთი.**

**აჯანყება იომენში**. მდგომარეობა იომენში ძალიან გართულდა. პორტა იძულებულია კიდევ გაგზავნოს ახალი ჯარი და კრეისერები. ხმები დადის, რომ იომენის არეულობაში ეგვიპტეს ხედივსაც უდევს წილიო. დამტკიცდა, რომ იარაღი იომენში ეგვიპტედან შემოაქვთ.

**პრინცი აბდურახინი**. ყოფილ სულთანის შვილმა აბდურახინმა სთხოვა ოსმალეთის მთავრობას, ნება მიეცეს მას მამას მოშორდეს, ცალკე იცხოვროს და ჯარში ჩაირიცხოს. მთავრობამ ეს თხოვნა შეიწყნარა და პენსიათ 100 თათრული გირვანქა დაუნიშნა. ეს ფული ყოფილ სულთანს წლიური ჯამაგირიდან გამოერიცხება.

**რუსეთი**

**ახალი გადასახადი**. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკო კომიტეტმა პროექტი წარუდგინა სტოლიპინს. პროექტი მოითხოვს გადასახადი დაედვას ყველა იმ პირს, რომლებიც საერთო წესების თანახმათ განთავისუფლებული იქნებიან სალდათობისაგან.

**ლექციები მუშებისთვის**. მოსკოვის საქსოვ ქარხნებში ხშირათ იმართება ლექცია მუშა ქალებისთვის. განზრახვა აქვთ ასეთი ლექციები, განსაკუთრებით ქსოვის განვითარების შესახებ, გამართონ აგრეთვე სხვა რაიონებშიაც.

**მუშების მდგომარეობა**. სოც.-დემ. დეპუტატ ეგოროვს დაუთვალიერებია ურალის ფაბრიკა-ქარხნები, სადაც მუშები დიდ გაჭირვებას განიცდიან თურმე. მუშებს დიდ ხნობით არ აძლევენ ხელფასს. ხშირათ ფულის მაგვარ ორდერებს და კუპონებს აძლევენ. კუპონების ფასი სანახევროთ დაეცა. მუშები დიდხანს იბრძოდენ ამგვარათ, ანგარიშით გასწორების წინააღმდეგ, მაგრამ ვერას გახდენ. ცოტა ხნის შემდეგ ორდერებიც მოსპეს და მის მაგიერ ბარათს აძლევდენ—ამდენი და ამდენი გერგებათო. ბოლოს ეს ბარათებიც ფულათ იქცა. დეპ. ეგოროვს განზრახვა აქვს კითხვა აღძრას ამის შესახებ დუმაში.

**გერცენშტეინის საქმე და დუბროვინი**. იუსტიციის სამინისტროში საბოლოოთ დაადგინეს, უკეთუ ნებით არ წავიდა, ძალით წაიყვანონ დუბროვინი ფინლიანდიის სასამართლოში გერცენშტეინის მოკვლის შესახებ საქმის გარჩევის დროს.

ამის გამო „რუსთა კავშირის“ სულის ჩამდგმელებმა დაადგინეს დუბროვინი წარსდგეს ხელმწიფის წინაშე და მუხლმოდრეკით სთხოვოს არ მისცენ ის ფინლიანდელებს. ეს დეპეშით აცნობეს დუბროვინს.

ფინლიანდიის სასამართლომ დაადგინა უკეთუ დუბროვინი არ გამოცხადდა საქმე 27 სექტემბრისთვის გადასდონ.

**მხეცური მკვლელობა**. ამ რამდენიმე დღის წინათ სოფ. გორტოვკაში გაძარცვეს სახელმწიფო არყის დუქანი. გაძარცვის დროს მოკლეს ნოქარ ფოკინის ცოლი და თვითონ დასჭრეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ ფოკინს თვითონ მოეკლა თავისი ცოლი. თვით ფოკინი გამოტყდა და შემდეგი სთქვა:

„სამი წელი ვცხოვრობდი ცოლთან, მუდამ ჩხუბი და დავა გვქონდა. დავუმეგობრდი სოფლის მწერალ ფედიუშკნს, რომელმაც მირჩია ცოლის მოკვლა. გადავსწყვიტეთ 26 აგვისტოს მოგვეკლა. დაღლილი ცოლი საღამოს დაწვა და მაგრათ ჩაეძინა. მოვიდა მწერალი და დამიჟინა მომეკლა. მეც ავიღე ცული დავკარი და მოვკალი. როცა ფულებს ვიღებდით, ცოლი შეინძრა, ფედუშკინმა დანაზე მიმითითა. მეც ავიღე და ყელი გამოვსჭერი. ფულები ტომარაში ჩავყარეთ და წავიღეთ.

ორივე დამნაშავე დაატუსაღეს. ფედუშკინიც გამოტყდა დანაშაულში.

**ისპანია**

**ფერრის საქმე**. ისპანიის გაზეთებს მოჰყავს იმ პროკლამაციის შინაარსი, რომელიც ვითომ ფერრის უნახეს დატყვევების დროს. პროკლამაცია მოითხოვს სამასი გაბედული რევოლიუციონერისაგან რაზმის შედგენას და მათი საშუალებით საზოგადო დაწესებულების განადგურებას და უმაღლესი მოხელეების დახოცვას. სხვა დოკუმენტები კიდევ ამტკიცებდენ რომ ფერრი იარაღს და დინამიტებს ამზადებდა, კრებდა ფულებს და სხვა შიფრით სარგებლობდა აჯანყების მოსახდენათ. ფერრის გაზეთების სიტყვით, სიკვდილით დასჯა მოელის. ამის გამო პარიზში მოხდა გრანდიოზული მიტინგი. მიტინგზე ორატორებათ გამოჩენილი პირები გამოვიდენ. დამტკიცდა, რომ ფერრის არავითარი კავშირი არა აქვს ბარცელონას აჯანყებასთან. მიტინგზე საფრანგეთის სინდიკალისტების ბელადმა ივეტომ განაცხადა, რომ საფრანგეთის ყველა ნავთ-სადგურებში გაიგზავნა განკარგულება, რომ ისპანიის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადონ. ამ ცნობამ დიდი აღტაცება გამოიწვია. მიტინგმა რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც ჰკიცხავს ისპანიის მთავრობას, რომელიც შურს იძიებს ფერრისადმი, როგორც პირველი ორგანიზატორის და ინიციატორის ისპანიაში საერო სწავლის დამწყებისო.

**საზღვარ-გარეთ**

**რკინის გზის კაროლი**. ნიუიორკის ახლოს თავის მამულში მოკვდა ამერიკელი მილიონერი, რკინის გზის „მეფე“ გარრიმენი. ამერიკის და ევროპის ყველა გაზეთები უძღვნიან მას ვრცელ ნეკროლოგებს. „ფრანკფურტე ცაიტუნგი“ ასე აგვიწერს მის ცხოვრებას:

„ის იყო ღარიბი სოფლის ღვდლის შვილი. 50 წლის ისე შეიქნა, რომ საზოგადოებაში არც კი იცოდენ მისი სახელი. ნიუ-ორკის ბირჟის წვრილი მაკლერი, რომლებითაც სავსეა ყველა ბირჟები, აი რა იყო ის 1897 წლამდე. ამ წლიდან 12 წლის განმავლობაში ის გახდა არა თუ ამერიკის მთელი ქვეყნის რკინის გზების მეფეთ, თვით კაპიტალის უპირველესი ამაყი პატრონები მის წინ ქედს იხრიდენ, ვანდერბილტები და გულდერი მას ანგარიშს [illegible] მეფობდა ბირჟაზე. მას შემდეგ, რაც ის ავათ გახდა, მისი ბიულეტენი ბირჟის ბარომეტრი შეიქნა. ოპერაციისთვის მეზადებოდა, სეირნობდა, თუ იდგა, ყველა ამას, გავლენა ქონდა ბირჟაზე, ისე, როგორც ნაპოლეონ მესამეს. მის ავათმყოფობას გაცილებით მეტი მნიშვნელობა ქონდა, ვიდრე რაიმე პოლიტიკურ მოვლენას, თითქმის ჩრდილოეთ პოლიუსის აღმოჩენასაც. მისი სიკვდილი დიდი ისტორიული მოვლენაა ამერიკაში. გარრიმენი მთელი ამერიკის რკინის გზის მესამედის აქციონერი იყო. გარდა ამისა, მას გავლენა ქონდა 50 საბანკო, სამრეწველო და დასაზღვევ დაწესებულებებზე. საორგანიზაციო ნიჭთან ერთად ის არავითარ საშუალების წინ არ იხევდა. უმთავრესათ ის ყავდა სახეში რუზველტს, როცა სთქვა: „მდიდარი ავაზაკები უფრო საშიშო არიან კერძო საკუთრებისა, ვიდრე სოციალისტები და ანარქისტები“-ო. ამერიკის რკინის გზების საქმეში არა ერთხელ აღმოუჩენიათ, რომ სხვადასხვა ხრიკებით წვრილ აქციონერთა ფულები მსხვილების ჯიბეებში გადადიოდა, მაგრამ რკინის გზის „მეფე“ კი ვერც ერთხელ ვერ დაიჭირეს ამგვარ საქმეში.

**ჰაეროსტატი პოლიუსისკენ**. პრინც ჰენრიხის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია ჩრდილოეთ პოლიუსისკენ ჰაეროსტატით გასამგზავრებლათ.

ბერლინში შესდგა კომისია ჰაერის რუქას შესადგენათ.

## პატარა ფელეტონი

**ნახული და გაგონილი.**

გუშინ სახლის პატრონი მეუბნება: გეყოფა ჩვენთან ყოფნა, ინებეთ და სხვა ოთახი იშოვეთ. ფულს დროზე არ მაძლევთ, შენით კიდევ, ვინ იცის, რა ხათაბალას გადაგეყრები. თუ ნებით არ წახვალ, ძალით გაგასეირნებ. რა უნდა მექნა! ავდექი და ვიწყე ოთახის ძებნა, მარა ვაი ასეთ ძებნას! რამდენი ვიხეტიალე, რა არ ვიმაცადინე, მაგრამ ვერსად ვერ მოვიკალათე. ერთ ადგილას მეკითხებიან: ცოლი გყავს? ღმერთმა მაშოროს. ცოლი შენ გყოლია თუ კარგია მეთქი.

— მაშ, ჩვენ უცოლოებს არ ვღებულობთ. ცოლიან კაცებს რაღაც ხაბაკ-ხუბაკი მაინც ექნება, ისე ადვილათ ვერ გაგვექცევა. თქვენ, ვინ იცის, სად გაფრინდებით ფულის მიცემის დროს.

## ია ვეძებდი...

—

ია ვეძებდი: ეკლანარში
ვიდოდი იმის გულისთვის,
ტურფა ყვავილი
მინდოდა თაიგულისთვის,
თაიგული კი—სატრფოსთვის,
იმას კი ვენაცვალები!
ია ყვავილთ რომ მაგონებს
მისი ცისფერი თვალები...
ვერ ვპოულობდი ყვავილებს,
გული დარდისგან დნებოდა,
როცა მათ ნაცვლად ჩემ თვალწინ
მხოლოდ ეკალი ჩნდებოდა.
ურცხვად აშვერდა ის ჩემსკენ.
თავის ალმასა კბილებსა,
გასაკაწრ-გასაფათრავად
წამახვილ-წალესილებსა.
ეჰ, ნეტავ ჩემგან რა უნდა
ეკალს, ამ ოხერ ტიალსა?
ჩემი სურვილი სულ სხვაა:
მე ია ვეძებ, იასა!..
მაგრამ... ჩუ! ეს რა ხმა მესმის?
—„ეკალს და ეკალს შორისო.
ნუ თუ ვერ ამჩნევ, საბრალოვ,
ცისფერ თვალთ გულის სწორისო?!
მიდი შორიდან უცქირე:
ხელს ვერ მიაწვდენ იმათო.
სინჯავ და... ეკლის წვეტები
სისხლს დაგადენენ წვიმათო!
ნახე შორიდან, თუ ყვავილს
ეკალი როგორ შვენისო!
და თუ... თუ გული აყუჩდეს
მიზეზათ ცრემლთა დენისო,
იტირე... ცრემლთ ნუ დაზოგავ,—
გულზედაც მოგეფონება,—
იგლოვე, ივაივიშე...
რა გეთაიგულ-კონება?!“
და მართლაც, ვხედავ: ყვავილებს
ეკალი შემოხვევია,
დაუკაწრ-დაუბასრკლანჭავს,
დაუმონ-დაუტყვევია.
ველარ შევკონავ თაიგულს:
ეკლები ჰფარვენ იებსა,
ვსტირი და... გულს ვერ ვიმშვიდებ,
ნაღველით განასივებსა!..

**ნ. ზომლეთელი.**

# უსათაურო

(გაგრძელება *)

დადგა დანიშნული დღე. დილიდანვე აივსო ქუჩები საჭვო პირებით, პოლიციელებით და ცხენოსანი კაზაკებით. ამბობდენ სხვადასხვა ადგილას ჯარის კაცები ყავთ ჩამალულიო. მეეზოვეები მოხუშულათ, სასტიკათ იცქირებიან. დილიდანვე ივსება დანიშნულ ალაგის გარშემო ქუჩები ხალხით, მუშებით. დავდივარ იქით-აქეთ, ვხედავ ნაცნობ სახეებს, რომლებიც მესალმებიან, ვამჩნევ აგრეთვე შეუმჩნეველ დაკვირვებას საეჭვო პირებისას, რომლებიც გრძობენ, რომ არ უნდა ვიყო წმინდა სული... მე კი საჩქაროთ დაშორდები, თან ვცდილობ მოვამზადო მოკლე სიტყვა, რომელიც უნდა წარმოვთქვა იმ დროს, როცა დროშა გაიშლება და ირგვლივ პროკლამაციის სროლას შეუდგებიან, მაგრამ არავითარი ღონისძიებით არ შემიძლია მოვიფიქრო რამ. გული სავსეა რაღაც გამოურკვეველი გრძნობით... დავდივარ, ვფიქრობ და ვერაფერი კი ვერ მოვიფიქრე. ჩემ გარშემო კი თანდათან იკრება წრე, თანდათან ემატება ჯგუფი ჯგუფს, თანდათან იწევს ეს ჯგუფი იმ მოედნისკენ, სადაც უნდა გაიშალოს დროშა. და აი, უცებ გუგუნით, გრიალით ყოველ კუთხიდან, ყოველ ქუჩიდან შემოვიდა ხალხი მოედანზე და მეც გარემოცული გამოცდილი, გულ-მაგარი ამხანაგებით ვიღაცამ ამწია ზევით, ჩემ თავთან ერთათ ვიღაცამ ასწია მაგარი, მსხვილი ჯოხი რომელზედაც აფრიალდა დროშა. სისხლი ამითამაშდა, გულმა ცემა დაიწყო.

— ამხანაგებო! ვიძახი მე,—სალამი თქვენ, მომავლის მაშენებლებო, გმირებო, რომელთაც ქვეყნიერება უნდა გასწმინდოთ... სალამი თქვენ!..

ისმის ცხენების თქარუნი, ყვირილი, სადღაც გაისმა სიმღერა:

უარ ვყოთ ძველი წესები...

და შეინძრა ხალხი.

— წინ ამხანაგებო! გაისმა გრიალი!

— გაუმარჯოს! ღრიალებს გარშემო.

დროშა კი დგას ისევ მაღლა და იმაზე მიკერებული მ—სის სურათი თითქოს ესალმება ხალხს, თითქოს თავს უკრავს და ამხნევებს:

— ასე, აი ასე უნდა!

და დროშა ნელ-ნელა მიიმართება წინ, ირხევა ის და სურათი კი თითქოს ისევ იძლევა სალამს და ისევ ამხნევებს მის ქვეშ შეკრებილ მებრძოლთა გუნდს.

Разойдись... стрѣлять будутъ... разойдись!.. ყვირის პოლიციელი.

— ძირს, ძირს... ძირს!.. ისმის უთვალავი ძახილი,—ძირს!

და დროშა მიდის წინ, მაგრამ აი რამდენიმე ცხენი შემოიჭრა შუაგულში, ვხედავ რამდენიმე ველურ ადამიანს ამ ცხენებზე სანახევროთ გადაწოლილთ გძელი და მსხვილი მათრახით ხელში... ვხედავ, როგორ მოძრაობს ეს მათრახები და როგორ იკაფეენ გზას იქით, სადაც დროშა ფრიალებს.

— დროშა! დროშა დაიცევით!..

რამდენიმე ჯოხი აიმართა ჰაერში, რამდენიმე ათამაშდენ ისინი ჰაერში უხილავი ხელებით და რამდენიმე ცხენი დარჩა უპატრონოთ...

— ძირს... ძირს... მე ვხედავ რევოლვერს ზოგიერთების ხელში, ერთი მათგანი კრიალებს ჩემ წინ...

— არ ისროლოთ... არ გაბრიყვდეთ! ვყვირი მე.

— ძირს!..

დროშა ჩამოვიდა ძირს. ის დამალეს. ჯარი შედგა. ალბათ, წინ გადაუღობეს გზა. და ვერც უკან მივდივართ, ისინი დაირაზმენ.

— Разойдись... послѣднiй разъ... разойдись, а то буду стрѣлять!. და შტიკები ათამაშდენ მზის სხივებზე.

ხალხმა დაიწია უკან, მაგრამ ისევ წინ გადმოდგა ნაბიჯი... კაზაკები არ უშვებენ... გაისმის ყვირილი, გაისმის ლანძღვა... და უცებ რაღაცამ იჭექა, თითქოს უთვალავი ქვიშა დააპნიეს ქესტის სახურავზე.

გიჟივით დაექანა ხალხის ბრბო... გიჟივით დაექანა და იყვირა, მაგრამ ეს ყვირილი უცებ ჩაახშო ჭექის ხმამ.

— გვხოცავენ!.. გაისმა იქით.

— გვხოცავენ ეს ლაჩრები, უიარაღო ხალხს გვჟლეტენ.

და ჯარის ცხენები ისევ მოაწვა ხალხს, ახლა უფრო თამამათ მოძრაობს მათ ხელში მათრახი, ახლა უფრო თამამათ მოდიან ხალხზე. კვლავ აკრიალდა მზის შუქზე რამდენიმე რევოლვერი და მაშინ, როცა მე მინდოდა მეყვირა—არ ისროლოთ მეთქი, უცებ ჯიბეზე დავიტაცე ხელი და ჩემი ბრაუნინგი ამოვიღე. მაგრათ მოვუჭირე მას ხელი.

— ჰახ! ჰახ! ჰახ! გაისმა რევოლვერის ხმა და ხალხი გაემართა იქით, საითაც ჯარი იდგა, გზა თავისუფალი იყო. გაისმა კვნესა. ორი თუ სამი კაცი ცხენიდან გადმოიჭრა რევოლვერის ტყვიით დაჭრილი. ისევ იჭექა თოფების ხმამ და ახლა ჩემ წინ წაიქცა ვიღაცა.

ჩამოვკარი ჩახმახს თითი და გავგზავნე სადღაც ტყვია. კიდევ ჩამოვკარი და კიდევ გავუშვი ის. გულში კი იბადებოდა რაღაც აჰირებული გრძნობა, თვალი მევსებოდა ცრემლით და მინდოდა შევმდგარიყავ რაიმე მაღალ საგანზე და აცრემლებული თვალებით მეყვირა, მეყვირა:

— ძმებო! ძმებო! ძმებო! მიყვარხართ! ყველა მიყვარხართ!

მინდოდა მეყვირა ეს და იქავე მომკვდარიყავი. თითი კი აწვებოდა ჩახმახს და ტყვია მიდიოდა სადღაც, სანამ რევოლვერი არ დაიცალა და მე ის ზიზღით არ დავახეთქე მიწაზე.

და როცა გარინდებულმა, მთვრალმა მე გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი, დავინახე, რომ ხვარამზე, ფერ-დაკარგული, გაფთრებული, აწეული მუშტით მიდიოდა რომელიღაც აფიცერზე, რომელსაც ხელში რევოლვერი ეჭირა და იძახდა:

— Я васъ пуошу. Я васъ прошу! და შეუმჩნევლათ იწევდა უკან. მის თვალებში ერთ და იმავე დროს იხატებოდა შიში გაფთრებული ადამიანის წინაშე, პატივისცემა თავგამოდებული ადამიანის წინაშე, აღტაცება მშვენიერი ადამიანის წინაშე და კიდევ ის შეგნება, რომ იმან, აფიცერმა უნდა მოკლას ის თუ საჭიროთ დაინახა, აუცილებლათ უნდა მოკლას.

ხვარამზე კი მიდიოდა მისკენ და ყვიროდა:

— ჯალათებო! ჯალათებო! ეს რა ჩა-

---

*) იხილე „მომავალი“ № 9.

გადავწყვიტე ცოლის შერთვა. მართლა არ იფიქროთ. ისე, ზეპირათ; გზაში სულ იმას ვფიქრობდი: არ დაიღუპოკაცი, მართლა არ ამისრულდეს მეთქი. ამ ფიქრში გართული ვერის დაღმართს მივუახლოვდი.

ორი ახალგაზრდა გაცხარებული დაობდენ: არა, ჩრდილოეთის პოლიუსი კუკმა აღმოაჩინა—ამტკიცებდა ერთი. არა, პირიმ აღმოაჩინა—ამტკიცებდა მეორე. ისე შეებმენ ერთმანეთს, რომ მათ ყვირილზე господинъ городовой მოვიდა. კეფაში მუშტი გაჰკრა და „უჩასტკაში“ წაიყვანა: и-д-и-и тамъ разберутъ—უყვიროდა.

„გოროდოვოის“ დანახვაზე პასპორტი ხელში დავიჭირე და შეშინებული გავწიე.

ცოტა მოშორებით ოთახის განცხადებას მოვკარი თვალი. შევუხვიე. მასპინძელმა ახედ-დახედა. ალბათ, ჩემი ბლუზა არ მოეწონა და აგდებულათ გამომისტუმრა.

შეურაცყოფილი ქვევით მოვდივარ. წინ ვიღაც ვაჟი შემეჩეხა. ხელში გატეხილი ქოლგა ეჭირა, პირზე ვუალი შემოეხიათ. უკან ვიღაც გოგონა მოსდევდა და აღელვებით ეკითხებოდა: что случилось „душка“, Георгій!? ამას კიდევ ვიღაც პატარა კაცი მოსდევდა. კაცი იყო უთუოთ! მარა რატომ მელას ჰგავდა! ღვანღვალა კუდი ხელში დაეჭირა! უკან კიდევ ვიღაც მოსდევდა. ცოტა იქით რაინდული თავმომწონეობით იდგა თავადი ამირეჯიბი, მუშტს უღერებდა და განრისხებული უყვიროდა: Я вамъ покажу! გამოირკვა, რომ „ზაკავკაზიეს“ რედაქციიდან ბ.ბ. გვაზავა, თუმანოვი და კიდევ ვიღაცეები გამოერეკა ბ. ამირეჯიბს. ხათაბალის თავიდან ასაცილებლათ ქუჩის მეორე მხარეს გადავიარე.

იქვე ოთახის განცხადება იყო გამოკიდული. დავათვალიერე ოთახი და მომეწონა. ფასი ვკითხე.

— ეს ქალბატონის საქმეა, მას მოელაპარაკეთ—მიპასუხა მეეზოვემ. ქალბატონის ცდას კარგა ხანი მოუნდი. როგორც იქნა გამობრძანდა ერთი ვიღაც ჩასუქებული დედა-კაცი. ამხედ-დამხედა და აგდებულათ მკითხა: რა გნებავთ?

— ოთახი დავათვალიერე და ფასი მინდოდა გამეგო.

— თქვენ ცოლიანი ხართ?

— დიახ.

— შვილებიცა გყავთ?

— დიახ. ორი. ქალ-ვაჟი.

— დიდებია?

— არც ისე. ერთი 7 წლისაა, მეორე—4.

— ცელქებია?

რა შევატყე ცელქები არ მოეწონება—ვუთხარი: რას ბრძანებთ, ცელქები კი არა, გუგულივით ბავშვებია. მთელი დღე ჩუმათ არიან. რომ სთხოვო, მაშინაც არ ითამაშებ-იცელქებენ.

— ოო, ეს კი ცუდია. ეს ავათმყოფობის ნიშანია. ცხადია, თქვენი ბავშვები ავათმყოფებია და თუ დღეს არა, ხვალ უთუოთ ავად გახდებიან და ჩვენთვის საშიშოა. შვილები მყავს.

— არა. ეს ერთია ასე, თორემ მეორე ისეთი ცელქია, რომ მეტი არ შეიძლება.

— უი ქა, ცელქი როგორ შეიძლება. ხომ სულ მოსვენებას არ მოგვცემს. ჩვენ კი მოსვენება გვჭირია. უკაცრავათ. ნახვამდის. ციბრუტივით უკან დაბრუნდა. აღარ ვიცოდი რა მექნა. ბრაზ-მორეული ქუჩაში გამოვედი და მწარე ფიქრებში გართული ერევნის მოედნისკენ გავწიე. „ზაკავკ.“ კარების წინ ვიღაც მოხუცი იჯდა და გულ-ამოსკვნილი მოსთქვამდა: „у меня нѣтъ ни кола, ни двора, ни пенсіи—ни въ настоящемъ, ни въ будущемъ. მას კი სახლიც აქვს, კარიც, ჯამაგირიც, პენსიაც, მამულიც. რამდენი პატივი არ ვეცი კიდევ: ვაჭამე, ვასვი, ბინა მივეცი, ფულიც ვასესხე და ახლა აღარც კი მაძლევს“. მოხუცის სიცოდვემ გული ამიჩუყა და ქვევით გავყევი.

არც კი შემიმჩნევია ისე, „ივერიის“ კარებს მივადექი. „ივერიის“ ყველა თანამშრომლებს თავი მოეყარა. აქ იყვნენ: „აჩუ“, „ზიპო“, „პამიდორი“, „ბატი“, „ბალინჯო“, „მოხარშული ვარია“ და სხვა. თავმჯდომარეთ თვით რედაქტორი იყო. ჩოთქი იღლიაში ამოედო. გაცხარებული კამათი იყო. ასამართლებდენ „ბალინჯოს“. თურმე ნუ იტყვით, „ბალინჯო“ იქამდის გაკადნიერდა, რომ რედაქტორს ზედ ცხვირზე უკბინა. „ბალინჯოს“ „პამიდორი“ გამოექომაგა, მარა „აჩუს“ პარტიამ გაიმარჯვა და თავხედ „ბალინჯოს“ სამუდამოთ გაძევება გადაუწყვიტეს. კამათი დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ რედაქტორს არ დაეყვირა: მარშ! საქმე გათავდა. ყველა გარეთ გამოცვინდა და მეც თან გამოვყევი.

დავაპირე „გოლოს კავკაზას“ რედაქციაში შევლა, რომ დეპუტატ ტიმოშკინთან მეჩივლა სახლის მეპატრონეთა თავ-გასულობა, მაგრამ კარებთან ისეთი თვალ-ჭრელა და ცხვირის წვერ გაწითლებული დელიყანდი იდგა, რომ რაღა სამალავია, შევშინდი, გვერდი აუხვიე და ზუბალაშვილების სახლში შევუხვიე.

აქ ფოიეში რაღაც არაჩვეულებრივი ჩოჩქოლი იყო. თურმე ქართულ სექციას კრება ქონდა. ვიღაცამ დაიძახა: გზა მოგვეცით, წევრი მოგვყავს, უკაცრავათ მოგვაქვსო. ერთი წევრი ისე გაჟღენთილიყო ღვინით, რომ იქვე ბაღში მისძინებოდა. ესეც თქვენი მოღვაწენი! ასეთი სიმპატიური, ნორჩი დაწესებულების ბედ-იღბლის გამგენი! მწარეთ დაღონებულმა აღმართ-აღმართ აუყევი, იქნებ ჰმუნვის ალის მენელოს-თქვა.

შორი-ახლო რაღაც პროცესიას თვალი მოვკარი. გრიალებდა მუსიკა. დროშები! ღმერთმანი დროშები! აი დროშებს მთელი ჯგუფი მიყვება. ყველაფერი დამავიწყდა. გული ამიტოკდა. თვალებში სიხარულით ცრემლები მომადგა. მომაგონდა 1905 წელი, ამხანაგები, მეგობრები. უეცრათ ჩემ წინ ახლო წარსულის მომხიბლველი, წამრტაცი სურათი გაიშალა. თავისუფლების ბრწყინვალე სხივი თითქოს გულში ჩამიძვრა, მიჩქმიტა, ამატოკა, ჰმუნვა-სევდა განდევნ-გააძევა, გულზე მოწოლილი ბურუსი შორს გაფანტა და თვალწინ დამიდგა თავისუფლების აჩრდილი. თავისუფლებავ! ჩემო საყვარელო! შენს ძებნაში გავლე სიჭაბუკე... შენზე ფიქრმა და დარდმა გული დამიწყლულა, თმაში თეთრი გამირია, სახე დამიღარა... თავისუფლებავ! ჩემო საყვარელო თავისუფლებავ! წამოვიძახე და დროშებისკენ გავქანდი, მინდოდა გულში ჩამეკრა, ამბორი მეყო, ხელში დამეჭირა და ერთი წუთით მაინც მეტარებია. მაგრამ... მაგრამ ჩემი სატრფიალო დროშის მაგიერ „მეშჩანსკი უპრავის“ რაღაც ახირებული ნახატებიანი დროშები აღმოჩნდა, ხელშიც, ვიღაც დიპიან ხალხს ეჭირა. სულ არ გავდენ ჩემს ნაცნობ გრდემლ-ჭახრაკ-ცეცხლში გამოჩალხულ ვაჟკაცებს. პირი ვიბრუნე და გაბოროტებული ქუჩას დავყევი. არას დროს არ მენატრა ბარათაშვილის მერანი ისე, როგორც ამ წუთში...

**ზინა.**

# ახალი ამბები

—

**ილია ჭავჭავაძის ძეგლი.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ ცნობა მიიღო ი. ნიკოლაძისაგან, რომ ილია ჭავჭავაძის ძეგლი მზათ იქნება 1910 წ. იანვარშიო. ძეგლი ბრონზის იქნება და პირობის ძალით, საზოგადოებამ უნდა გაუგზავნოს მას 1500 მ. ამ ფულის გადახდაში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საზოგადოებები, რომლებმაც დახმარება აღუთქვეს. ასეთები არიან: ქართული ფილარმონიული საზოგადოება, ჭიათურის დრამატიული და შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებები, ქუთაისის დრამატიული საზოგადოება და სხვა. საჭიროა ხსენებულმა საზოგადოებებმა პირნათლათ შეასრულონ თავიანთი დაპირებანი და დააჩქარონ ფულის წარდგენა გამგეობაში, რომ საქმეს დაბრკოლება არ მიეცეს.

✦ **ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.** დღეიდან გაიხსნება ზუბალაშვილების სახლში სახალხო წარმოდგენების სეზონი, რისთვისაც სცენის მოყვარეთა დასი უკვე შედგენილია და ორი თვის რეპერტუარით შემუშავებული. დღეს, საღამოს რვა საათზე, ზუბალაშვილების სახლთან არსებული სახალხო წარმოდგენების მმართველი სექცია წარმოადგენს შილლერის ხუთ მოქმედებიან ცნობილ ტრაგედიას: „ყაჩაღებს“. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ დრამატიულ დასის არტისტები ბ.ბ. იმედაშვილი, ივანიძე და აგრეთვე თვით სექციის რეჟისორი კ. შათირიშვილი.

ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში დილის 12—2 ს. საღამოს 6—8 საათამ.

შეცდომის თავიდან ასაცილებლათ, სექცია კიდევ ერთხელ აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ სექციის მიერ გამართულ წარმოდგენების ფასი **5 კ.** დაწყებული **50 კ.** არ აღემატება. უკეთუ ფასები **50 კ.** მეტი იქნება გამოცხადებული, ის წარმოდგენა სექციის წარმოდგენათ არ ჩაითვლება.

ჩვენის მხრით, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს ქართულ სექციის წევრთა შორის ზოგიერთი საკითხის შესახებ დამოკიდებულება, როგორც პოლემიკიდან სჩანს, მეტათ გამწვავებულია. ამნაირ არა ნორმალურ მდგომარეობას შეუძლია არა სასურველი გავლენა იქონიოს ამ ნორჩ, სიმპატიურ და სასარგებლო დაწესებულების ბედ-იღბალზე. სასურველია და საჭირო, რომ სექციის წევრებმა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიაქციონ და თავიდან აიშორონ ის სამწუხარო შედეგები, რომელიც მოსალოდნელია მოჰყვეს ამ განხეთქილებას. ვუსურვებთ, რომ მათ ამ სეზონში კიდევ მეტი უნარი და საქმისადმი სიყვარული გამოიჩინოთ, ვინემ ეს იყო წარსულ სეზონში.

✦ **მშობლების კრება.** დღეს პირველ სავაჟო გიმნაზიის შენობაში დანიშნულია ამ გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლების კრება. კრებამ უნდა აირჩიოს ერთი წარმომადგენელი პედაგოგიურ რჩევაში.

✦ **დუშეთის ხაზინის გაცარცვის საქმე.** 22 სექტემბერს თფილისის სამოსამართლო პალატა ხელმეორეთ განიხილავს დუშეთის ხაზინის გაძარცვის საქმეს. ეს საქმე, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამას წინათ განიხილა სასამართლომ, მარა ბრალდებულნი არ დაკმაყოფილდენ განაჩენს და საქმე განასაჩივრეს.

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ** სთხოვა მოსკოვის ქართულ საზოგადოებას იშოვოს მოსკოვში ისეთი პირები, რომლებიც იკისრებენ აგენტობას და ახალი წევრების გამონახვით თუ სხვა რამით დაეხმარებიან მას.

✦ **ფულის მოსაჭრელი.** მალაკნის ქ. მცხოვრებმა ტროფიმ პროხოროვმა მე 10 საპ. ნაწილის სამმართველოში წარადგინა ყალბი ათ შაურიანის და სამშაურიანის მოსაჭრელი ოთხი პატარა რკინის მაშინა. მან განაცხადა, რომ ეს ნივთები იპოვნა მუშამ თავისი სახლის კედელში მუშაობის დროს. საქმე გადაეცა გამომძიებელს.

✦ **თფ. წვრილ ვაჭართა პროფ. საზოგადოების** წევრთა კრება მოხდება დღეს ბირჟის სადგომში დილის 10 საათზე. კრება, სხვათა შორის, განიხილავს საკითხს შემნახველ-გამსესხებელ კასის და სამედიატორო კამერის დაარსების შესახებ.

✦ **სათადარიგო ჯარის-კაცთა შემოწმება.** თფილისის პოლიცმეისტერი აცხადებს, რომ ხმელეთისა და ზღვის სათადარიგო დაბალ ხარისხის ჯარის-კაცები, რომლებიც თფილისში ცხოვრობენ, ვალდებულნი არიან შესამოწმებლათ გამოცხადდენ თფილისის მაზრის სამხედრო უფროსის სამმართველოში 25 სექ.—9 ოქტომბრამდე.

✦ **ადმინ. წესით გადასახლებულის შეპყრობა.** 4 სექტემბერს პოლიციამ დააპატიმრა თფილისის საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული და თავისი ნებით დაბრუნებული არამ გაიკაზოვი.

✦ **მოკლული კაცის გვამი.** 3 სექტემბ. თფ. მაზრის საზღვარზე მეთევზეებმა იპოვეს მოკლული კაცის გვამი, რომელსაც ყელი გამოჭრილი ქონდა. როგორც გამოძიებამ გამოარკვია, ის ყოფილა ტფილისის მოქალაქე პეტრე ი. კანდილოვი.

✦ **დუტუ მეგრელის ლექსები.** რედაქციამ მიიღო ახლათ გამოცემული დუტუ მეგრელის ლექსები, წიგნი პირველი. წიგნი სუფთათაა გამოცემული, შეიცავს 256 გვერდს და ღირს 70 კაპ.

✦ **ქურდობა.** 4 სექტემბერს მიხეილის ქუჩაზე მცხოვრებ მე-2 გილდიის ვაჭრის ივანე გამაევის ბინიდან მისმა მოსამსახურე ქალმა გაიტაცა 1500 მ. სხვადასხვა ოქროსა და ბრილიანტის ნივთები და მიიმალა. პოლიციამ ამის გამო მე-10 საპ. ნაწილში დააპატიმრა მუშის მაზრის მცხოვრები არამ ადიბამოვი, რომელმაც შემდეგ თავის თავს მირონიჩევი უწოდა. მის ბინაზე იპოვნეს 800 მ. გამაევიდან მოტაცებული ნივთები. შემდეგ დააპატიმრეს თვით მირონიჩევიც, რომელსაც აღმოაჩნდა დანარჩენი ნივთები.

✦ **† ს. პ. ვეშაპიძე.** ამ დღეებში ს. დიდი ჯიხაიშში გარდაიცვალა სამსონ პეტრეს ძე ვეშაპიძე. განსვენებული საზოგადო საქმისათვის ერთი საუკეთესო და გულწრფელი მუშაკი იყო და მისმა ასე უდროვოთ სიკვდილმა ძალიან დაამწუხრა განსვენებულის ამხანაგები და მეგობრები. მისი ხსოვნა სამარადისოთ დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

✦ **ოქროპირ გუდავა გვთხოვს გამოვაცხადოთ:** „ჩანგის“ № 37 ქრონიკაში დაბეჭდილი იყო, ვითომ ოქროპირ გუდავა დააპატიმრა ადგილობრივმა პოლიციამ როგორც ყაჩაღთა ბრბოს მეთაური. მე, მართალია დამიჭირეს მარა, შეცდომით და მეორე დღესვე გამანთავისუფლეს. ამიტომ გთხოვთ დაბეჭდოთ ეს ცნობა და მით საშუალება მომცეთ საზოგადოების წინაშე ეს ბრალდება ჩამოვიშორო. ვთხოვ სხვა გაზეთებს როგორც ის ცნობა მოათავსეს, ეს ჩემი განცხადებაც გადაბეჭდონ“.

✦ **„მათრახი და სალამური“ № 13.** გამოვიდა შემდეგის შინაარსით: „კახეთის რკინის გზა“ (კარიკატურა). „კახეთის ბედი“ —კისა. „ინტერვიუ“—ეშმაკისა. „პეტრია გუდასვაძე“—ნ. ზომლეთელისა. „კომისიაში“ (სახუმარო სცენა)—ეშმაკისა. „შარადა“ —კიდოსი. „ღუნკა“ თარგ. იასამანისა. „წუხრის რაკრაკს“—იასამანისა. „მესტვირული“—ფიჩუსი. „ბინის მაძიებელი“—ტუკისა და სხვა.

## სახალხო წარმოდგენების გამმართველ სექციის რეორგანიზაციის შესახებ.

(ქ-ნ ს. რომანიშვილის პასუხათ).

(დასასრული)

თქვენ იცით, რომ ეს სიტყვები მუშების შესახებ არც გვითქვამს და ვერც ვიტყოდით. თქვენ განზრახ შეთხზეთ ეს ჭორი, რომ მით ფონს გახვიდეთ. თქვენ იმედი გქონდათ, რომ რა კი ჩვენის აზრით ი. დურგლიშვილი გამოუსადეგარია თეატრალურს სექციაში, მუშები ამ ჩვენს შეხედულებას გაამწვავებენ და ადვილად დაიჯერებენ ეგრედ თქვენ მიერ შეთხზულ ჭორს.

თუ ჩვენ ეს სიტყვები მართლა ვიხმარეთ, რატომ მაშინვე არ გვიპასუხეთ? რატომ თავის დროზედ არ შეატყობინეთ თქვენს მორჩილ სარეორგანიზაციო წევრებს, რომლებიც შესაფერათ გამოიყენებდნენ ამ მასალას? რატომ არა სთქვი შეერთებულს კრებაზედ? რვა დღის განმავლობაში სწერდით თქვენ წერილს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ჭორი შეთხზეთ, რომელთაგან უმეტესად საზიზღარი ეს უკანასკნელია.

„შემდეგ ამიხსნეს, რა გზით აპირებდნენ ახალი სექციის შედგენას“-ო, ამბობთ. დიდი ახსნა არ იყო თქვენთვის საჭირო. სწორეთ იმავე გზით მოხდა რეორგანიზაცია წარსულ წელს თქვენის თანხმობით, თქვენის მონაწილეობით, თქვენს ბინაზედ. მაშინაც, როგორც ეხლა, არაფერი არ გქონიათ რეორგანიზაციის წინააღმდეგ, თუმცა არც მისი თავგამოდებული მომხრე ყოფილხართ. მხოლოდ ხელს კი გვიწყობდით მაშინაც და ეხლაც. მეც ამან შემიყვანა შეცდომაში. თქვენ კი ნდობით „ღირსეულათ“ ისარგებლეთ.

რისთვის დაგჭირდათ ამ სიცრუის თქმა: „მთხოვეს, მათთვის ორივესთვის მიმეცა ხმა არჩევნების დროს; ასე რომ, მათის სურვილით კომისიაში უნდა შესულიყვნენ: ს. ტოროშელიძე, სვირელი და ნ. გოცირიძე.“

თქვენც, ქ-ნ დემურიამაც და სვირელმაც კატეგორიული უარი განაცხადეთ სარეორგანიზაციო კომისიაში. ქ. დემურია ამბობდა: „ჩემზედ ისედაც კბილებს ილესავენ და მე რომ კომისიაში ვიქნე, უეჭველათ მე დამაბრალებენო.“ თქვენც და სვირელიც ერიდებოდით გამოსარიცხი წევრების წყენას. მაშინ მე გითხარით: „რა კი ასეა, მაშ, მე და ნ. გოცირიძე აგვირჩიეთ კომისიაში. ოღონდ საქმე სასურველათ მოეწყოს და არავის წყენას არ მოვერიდებით“-თქო.

რაკი მე ეს ვიკისრე, თქვენ იკისრეთ კითხვის აღძვრა პირველსავე სხდომაზე. სვი-

---

იდინეთ! რას ერჩოდით... სირცხვილი თქვენ...

როცა უცებ წარმოვიდგინე, რომ ხვარამზე შეიძლება მოკლან, მე გიჟივით დავეტაკე მას, მუდარით ვსთხოვე გამყოლოდა მე და სიტყვის თქმა, მოფიქრებაც კი არ დავაცალე, რომ თან გავიტაცე.

მთელი დღე დუმდა იმ დღეს ხვარამზე, მხოლოთ საღამოს, როცა დაბნელდა და მე ფანჯარასთან გადაწოლილი ფიქრებში წასული ვიყავი, ის მოვიდა ჩემთან, დამადო მხარზე ხელი და მითხრა:

— ვანო! ა, ვანო!

მე ავიღე თავი და მის ხელში ხელი გავუყარე.

— არ გგონია, ვანო, შენ, რომ ჩვენ ზომაზე მეტათ გვიყვარს ერთმანეთი? რას იტყვი ვანო, ა?

— მე ვერ გავიგე შენი კითხვა, ვეუბნები მე და თან კი მაჟრჟოლებს ტანში.

— არ გგონია, ვანო, შენ, რომ ჩვენ ზომაზე მეტათ ვზრუნავთ ერთმანეთისთვის, არ გგონია, რომ ხანდახან გადამეტებული სიყვარული კი არ ამაღლებს კაცს, არამედ ამდაბლებს!?.

ეს იყო და ეს, იმ ღამეს მე ხვარამზესაგან არაფერი გამიგონია. მხოლოთ არ ეძინა მთელ ღამეს, კრთოდა, ეტყობოდა, იტანჯებოდა.

მეორე დღეს მე იძულებული ვიყავი თ—-ლისი დროებით დამეტოვებია. ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო, რომ დამატუსაღებდენ და მეც ავიკარი გუდაჲ ნაბადი. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ მე შემეძლო ხვარამზეც გამეხადა ჟანდარმების მსხვერპლათ და ეს კი არ შედიოდა როგორც ჩემ პლანში, არც ისე ორ—იის, რომელსაც ამ დროს მუშა ხელი ერთი ორათ სჭიროდა.

და აი, როცა კარგა ხნის შემდეგ მე დავბრუნდი თ—სში ისევ, როცა ხვარამზესთან მივედი, მე ვცადე ძველი დღეების გახსენება, ძველებურათ ცხოვრება. და მე, დაბრმავებული ჩემი სიყვარულით, ვერაფერს ვერ ვხედავდი, სანამ ერთ ღამეს ის ატირებული არ ვნახე. იმ ღამეს მერმე მე დავჭკვიანდი, მას მერმე ვატან ხვარამზეს თვალს და...

და მე გული მტკივა.

მე ვიცი, რომ ხვარამზეს დიდი რამ აწუხებს და ეს მისი წუხილი შემეხება მე, რომ ის დიდ გავლენას იქონიებს მთელ ჩემ აწინდელ სიცოცხლეზე. გული მტკივა. სევდა მაწვება გულზე და ღრღნის მას.

წვიმა არ ხუმრობს, ის უკვე კოკისპირულათ სცემს, ცაში კი ქუხს და ჰქუხს.

გული მტკივა.

საქმე მაქვს ამაღამ ბევრგან, მაგრამ არსად არ წავალ.

სადა ხარ ეხლა შენ, ჩემო ხვარამზე?..

...მე ისევ გავწი სოფელში. ჩემ დიდ დარდს და გულის ტკივილს ფართე მინდვრები უნდა, ფართე ჰორიზონტი. მაღალი მთები მინდა დამცქეროდეს თავზე, რომ შევძახო მას ჩემი გულის ტკივილი. ჩემს დიდ ფიქრებს, ჩემ დიდ გულის ტკივილს ქალაქი ვერ იტევს. და მე ისევ მივდივარ სოფელში, გადავდივარ ერთი ალაგიდან მეორე ალაგას, ვითომ ვშრომობ, ვითომ ვეწევი აგიტაცია-პროპაგანდას, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარი ის არის, რომ მე ვიტანჯები და არ არის წამალი ამ ტანჯვის.

მე ვიცი რაშია საქმე. რაც დღე მიდის, უფრო და უფრო ნათლათ ვხედავ მას, რაც დღე მიდის უფრო და უფრო აშკარავდება ყველაფერი ჩემ წინაშე...ხვარამზე, მე შენ სამუდამოთ დაგკარგე, ჩემო ძვირფასო! ხვარამზე! მე შენ მიყვარხარ და ამიტომ მე შენ დაგკარგე!

მე ვიცი რაშია საქმე, მაგრამ არ ვიტყვი, არა, არ ვიტყვი... მე ვიცი რაშია საქმე, მაგრამ არ ვიტყვი, არა და არა.

აი გავიდა ერთი კვირა, თხუთმეტი დღე, ოცი... ხვარამზე არ მინახავს, ხვარამზე ქალაქშია.

აი უკვე ერთი თვე გადის—ხვარამზე არ მინახავს, ხვარამზე ქალაქშია. რას შვრები მანდ ჩემო ხვარამზე? რაზე ფიქრობ? რას აკეთებ? ვისან დადიხარ?.. დიახ, ვისან დადიხარ ჩემო ხვარამზე? ვისან?

მე უკვე მოვაწიე სადგურ მ—ლოვს, სოფელ-სოფელ სიარულით. აქ ჯარი დგას. მინდორში შეუყრია მას თავი. ისმის სიმღერა, თამაში. მივდივარ შორიახლო, ვჩერდები და ვუგდებ ყურს.

Дали бабѣ киселя—киселя,
Стала баба весела, весела...

— იჰ, იჰ! კივის ერთი წვიტი, წვიტი თვალებით, წითური, გძელი წვერით, კივის ის და ხტის და მის შეხტომაზე ქანაობს მისი წვერიც... რაღაც ველური, რაღაც შემმუსრავი ჩანს ამ მის სიმღერაში და სიცილში, ამ მის კივილში და ცეკვაობაში.

Дали бабѣ вец-мундеръ, вец-мундеръ,
Стала баба командеръ, командеръ...

— იჰ, იჰ! ისევ კივის და გადადის ბუქნას, იცინის და აქნევს წვერს და იცქირება გარშემო თავისი წვიტი, წვიტი თვალებით...

**სპ. მცარიშვილი.**

(შემდეგი იქნება)

რელი შეგპირდით, მხარს დაგიჭერთო, როდესაც ხმები ვიანგარიშეთ, ქ. დემურიამ განაცხადა:

—ხმები შეაჩერეთ რომ გაიგოს, ჩემს ხმას, როგორც თავმჯდომარისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება და საქმე სასურველად გათავდებათ. ამნაირათ, როდესაც განიზრახეთ, თქვენ შეასრულეთ კიდეც თქვენი როლი და 17 მაისის სხდომაზე აღძრეთ კითხვა, რომელიც ერთხმათ იქნა მიღებული. რათ მოიქეცით ასე? ამის პასუხს არ იძლევით.

17 მაისის შემდეგ კი მართლაც ზურგი გვაქციეთ. პირველივე სხდომა 25 მაისს ქ. დემურიამ დემონსტრატიულათ დახურა. სექციის წევრებმა უკვე უკმაყოფილო იცოდენ და ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულნი იყვნენ. როდესაც მე თქვენ შემოგჩივლეთ, ქ. დემურია ასე უდიერათ მოგვექცა მეთქი, თქვენ დიმილით მომისმინეთ, მხრები აიჩეჩეთ და მიპასუხეთ მოკლეთ: странно!—მაშინაც კი არ მითხარით, რომ თქვენ ჩემი თანამოაზრე აღარ იყავით.

„ჩვენ ვცდილობდით ამ საკითხის უკან დაწევას, რომ წევრებ შორის უკმაყოფილება არ დაბადებულიყოო..“ ამბობთ.

17 მაისის შემდეგ თქვენ სცდილობდით კითხვის უკან დაწევას, რომ წევრებში დაბადებული უკმაყოფილება გამწვავებულიყო და როდესაც გამწვავებამ უკიდურეს ხარისხამდე მიაღწია, მხოლოდ მაშინ დასთანხმდით კომისიის ამორჩევას. კითხვის გადაწყვეტა იმიტომ უფრო გაჭიანურდა, რომ თქვენ გსურდათ სახალხო უნივერსიტეტს ჩამოშორებოდით და საქმის დამოუკიდებელი ბატონპატრონნი გამხდარიყავით, მაგრამ ეს თქვენ და სამწუხაროთ, ვერ მოახერხეთ.

კომისიაში აირჩიეთ (თქვენცა და დემურიამაც ხმა მიეცით) ორი ისეთი პირი, რომლებიც თქვენი ხელით ამოშალეთ სექციის წევრების სიიდან, როგორც საქმისათვის გამოუსადეგარნი. კომისიის უმრავლესობა ძველი წევრების შესახებ ემთრჩილებოდა თქვენს ბრძანებას და ამოშალა ყველანი თქვენს ქ-ნ დემურიასა და ბ-ნ თუმმალაშვილის გარდა. კომისიაც და თქვენც, მაშასადამე, თანახმა ხართ, რომ ის წევრები, რომლების გამორიცხვაც ჩვენ გსურდა, გამორიცხვის ღირსნი იყვნენო *).

თუ სექციის წევრები მართლა პრინციპიალური მომუშავენი იყვნენ, როგორც თქვენ ამბობთ, შრომა დიდი მიუძღოდათ და გამოცდილება არ აკლდათ, რისთვის გამორიცხეთ, ან იქნება ამნაირ პირებათ თქვენ მხოლოდ სარეორგანიზაციო კომისიის წევრები გ. რაქვიაშვილი და ი. დურგლიშვილი მიგაჩნიათ?

პირველი მათგანი მართლაც პატიოსანი და ერთგული მუშაკია. რაც კი რამ დაგვჭირდებოდა ხელსაწყო ნივთი, თუ კი ვინმე დაავალებდა, უშფოთველათ მოიტანდა. თუ კი წასვლა იყო სადმე საჭირო. არც ამაზე იტყოდა უარს, არაფერს არც იუკადრისებდა და არც დაიზარებდა. ინტელექტუალური შრომისათვის კი მას ძალა არ შესწევდა.

სულ სხვაა ი. დურგლიშვილი. მავს სამუშაოს არ კადრულობდა და იდეიური მხარისა, რომ სვენს საქმეში მან არა იცოდარა, ეს თითონ აღიარა. მორიგეობაზე (ეს იყო უმთავრესი ჩვენი სამუშაო) უარი განაცხადა მოუცლელობის გამო. უნდა ბილეთებს თავისი სურვილის თანახმათ, მაგრამ იშვიათი შემთხვევა იყო, რომ გასა თავის დროზე გაედოს. ბოლოს კი, სულაც ვეღარ მოდიოდა და ხან ვის მიანდობდა ბილეთების გაყიდვას, ხან ვის. ფიქრათაც კი არ მოსვლია, ამხანაგებისათვის ეთხოვა, გაენთავისუფლებიათ ამ მოვალეობიდან.

მეტყვით, შინაური გარემოება უშლიდაო. შეიძლება, მაგრამ საქმე განა ამის გამო თავის თავათ გაკეთდება? არა მგონია.

სახალხო სახლში რომ გადმოველით 1 აპრილის სხდომაზე ავირჩიეთ კომისია სამი პირისაგან: ი. დურგლიშვილი, გ. რაქვიაშვილი და მ. თუმმალაშვილი, მათ უნდა მოეწყოთ ბილეთების გაყიდვა ქარხნებსა და ფაბრიკებში.

რა გააკეთა კომისიამ? სრულიად არაფერი. როდესაც ქ. დემურიამ კრებაზე უსაყვედურა კომისიას, არაფერი გაგიკეთებიათო, ბ. ი. დურგლიშვილმა თამამათ უპასუხა:

—რის გაკეთებაც შეიძლებოდა, გავაკე-

*) სექციის გარეშე დარჩენ თავისივე სურვილით ბ-ნი შათირიშვილი და სარეორგანიზაციო კომისიის წევრები, თუმცა ორი მათგანი წინაალმდეგი იყო ამისი. ნ. გოცირიძის ნაცვლათ კი კომისიამ მიიწვია ბ. თუმმალაშვილი. რომელი მათგანი უფრო მაღლა დგას როგორც საქმის მოყვარული, მცოდნე და მუშაკი, ამის გადაწყვეტა თქვენთვის მომინდვია. ს. ტ.

თე, ხალხიც შემხვდებიან ვეუბნები, ნახეთ წარმოდგენაზე, ისინიც მპირდებიან მოვალთ, არ მოდიან და მე რა ვქნაო?

მაშ ასე! საქმის მოსაწყობათ საკმარისია, კაცი ქუჩაში რომ შეხვდე უთხრა: ეს და ეს საქმე გააკეთეო. სხვა საქმე წარსულ სეზონში ბ. დურგლიშვილისათვის არც მიგვინდვია და არც გაუკეთებია.

მიუხედავათ ამისა, ბ. ი. დურგლიშვილი თქვენთვის მაინც ძვირფასია. ის თქვენთვის ფირმაა. თქვენ თავი საზოგადო მოღვაწეებათ მოგაქვთ და ამბობთ, რომ ჩვენ ხალხის მომხრე არ ვიყოთ, ი. დურგლიშვილი ჩვენთანაც არ იქნებაო.

ეს სიტყვები თქვენის თანდასწრებით უთქვამს ჩემთვის ქ. დემურიას და თქვენც კვერი დაუკრავთ. ჩვენ კი, ნუ გეწყინებათ და, ამისთანა ფირმას არა ვსაჭიროებთ.

სვირელმა სთქვაო, ამბობთ, მე მეტი გაგლენა მაქვს, ვინემ სხვებსაო, ეს სიცრუეა.

როცა თქვენ ინტრიგისა შეგეშინდათ (sic), მაშინ გითხარით, თუ მართლა რამე ჭორიკანობას დაიწყებენ, ჩვენც პასუხს გავცემთ. რათა გგონიათ, რომ მათ ტყუილს დაიჯერებენ და ჩვენს მართალს კი არაო?

ჩვენ წერილში კიდევ ბევრი რამ არის ისეთი, რომელიც სინამდვილეს არ ეთანხმება, მარა დაწვრილებით აღნუსხვა შეუძლებლათ მიმაჩნია

ბოლოს მაინც გადაჭრით ვერ უარს ყოფთ, რომ სექციით მდგომარეობა ისეთი იყო, როგორც ჩემს წერილში მქონდა მოხსენებული. არ ყოფთ უარს რომ ამ კითხვაში ორმაგ როლს თამაშობდით: მხოლოდ არაფერს კი არ ამბობთ იმის შესახებ, თუ რამ გაიძულათ, რათ იქცეოდით ასე? ამაზედ ველი თქვენგან პასუხს და თუ არაფერს იტყვით, მაშინ მევე გიტყვი. დასასრულ არ შემიძლია არ გითხრათ, რომ თქვენ ამ შემთხვევაში საქმის ინტერესი არ გამოქმედებდათ. იმასაც გეტყვით, რომ ამნაირი ალიაქოთის მოხდენა სახალხო თეატრში თქვენის მხრით პირველი არაა. ღმერთმა ქნას, რომ უკანასკნელი დარჩეს!

**ს. ტოროშელიძე.**

## პროვინციის ქრონიკა

**ქ. თელავი.** თელავს ზაფხულობით სხვა ელფერი ეძლევა: საიგარაკოთ ჩამოსულნი აახმაურობენ ხოლმე მას. შედარებით სხვა წლებთან, წრეულს უფრო ბევრი ჩამოვიდნენ. მათ შორის უმეტესი ნაწილი მოსწავლენი იყვნენ. იმართებოდა წარმოდგენები. უფრო ხშირათ სდგამდნენ ისტორიულ პიესებს. საცეკვაო საღამოებსაც ჰქონდა ალაგი. 29 აგვისტოს სომეხთა ეკლესიის ეზოში გაიმართა საცეკვაო საღამო ალეგრით. დაწყებისთანავე გამოცხადდა თელავის ბოქაული და შეკრებილი ხალხი პოლიციელების დახმარებით გარეკა. მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ საღამოს მომწყობს ამაზე ნებართვა არ ჰქონდა აღებული გუბერნატორისაგანო. 25 აგვისტოს დიდის ამბით იდღესასწაულეს ალმოსავლეთ კავკასიის დაპყრობა. სამოქალაქო ბაღში საღამოს 10 საათამდის სამხედრო მუსიკა უკრავდა ბაღი, გაჩირაღდნებული იყო. მოაგარაკეების რიცხვმა იკლო. ყოველ დღე 4—5 დილიჟანი მიდის თფილისში. იმედია, მოგარაკეების წასვლისთანავე მცხოვრებნი სალათას ძილს მიეცემიან. **ნატრაძე.**

—

**ს. ჭაგანი.** ამას წინათ გაზეთ „ჩანგ“-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია ჭაგანიდან, რომელიც ეხებოდა სარწყავი წყლის გამგების მოქმედებას. ამ წერილს მეტათ გაუბრაზებია მეჯვრე სიმონი და ყველას დახრჩობას გვიქადის. თუმცა ბ-ნი სიმონი პირადათ იქ არ იყო ნახსენები, მაგრამ იმისი არ იყოს „პილპილი თუ არ გიჭამია, პირი რათ გეწვისო“ ალბათ, სიმონს ყველაზე მეტი პილპილი უჭამია, რომ ასე ემწვავა ზემოხსენებული კორესპონდენცია.

23 აგვისტოს დანიშნული წარმოდგენა აქაურ სამკითხველოს სასარგებლოდ ერთი საპატიო მანდილოსნის გარდაცვალების გამო გადაიდო. სოფლის მამასახლისის არჩევნები უკვე მოაწია. ბევრი ილესავს კბილებს.

—

**დ. სუჯუნა.** დროთა ვითარების გამო აქაც წამოყვეს თავი ნაძირალებმა. მეზობელი მეზობელს აღარ ინდობს. გამეფდა შური, მტრობა და ერთი მეორის დაბეზღება. ყველა ამის მიზეზია ხალხის გონებრივი სილატაკე. ხალხი სიბნელის მორევში სცურავს და არავინ კი არ ცდილობს მის იქიდან ამოყვანას. ყველა ამას ზედ ერთვის მოუსავლობა, ათასგვარი გადასახადები სახელმწიფო, თუ მღვდლების დრამა და ხალხი უკიდურეს მდგომარეობაშია. ყველა ამასთან, აქ გავრცელდა სხვადასხვა გადამდები სენი. არა გვყავს არც ექიმი და არც ფერშალი და ამის გამო მრავალი ხალხი ესალმება წუთი-სოფელს.

—

**ს. ქვემო-ჭალა** (გორის მაზრა). „სოფელი ვენახე უძაღლო, შიგ გაიარე უჯოხოო“ სწორეთ ჩვენ სოფელზე ითქმის. ვინ გინდათ რომ საწყალ ჩვენ გლეხებს არ სწეწდეს. მღვდელი, ერი, ბერი და ვაჭრები. ყველაზე მეტათ ვაჭრები სარგებლობენ. აქაური ვაჭრები ებრაელები და სომხები არიან. კალმით აუწერელია, როგორ აძრობენ ტყავს ეს ვაჟბატონები. საქონელი ხომ მამასისხლათ იყიდება, ეგ კიდევ არაფერი, მაგარი ის არის, რომ საქონელი უვარგისია და თან წონასა და ზომაშიაც ატყუებენ. საბრალო გლეხს კი ხმა ვერ ამოუღია, რადგან სხვაგან წასვლის და ყიდვის თაკილობა აქვს. ამ ბოლო დროს ციებ-ცხელებამ აქაც იჩინა თავი. თუმცა გვყავს ფერშალი, მაგრამ ის მეტის-მეტათ გართულია არშიყობაში და ავათმყოფ გლეხისათვის სად მოიცლის. ხოლო, თუ მოიცალა არშიყობისაგან ამ დროს ძილს ანდომებს. ჩვენებური მამასახლის-მწერალ-სტრაჟნიკები მათრახის ცემასა და ხალხის დარბევა-დაწიოკებაში არც ერთ მამასახლისს არ ჩამოუვარდებიან.

### წერილი რედაქციის მიმართ

**პასუხათ „ივერიის“ მეთვალყურეს.**

„ჩანგი“-ს № 43 ჩვენი წერილი იყო მოთავსებული. წერილი შეეხებოდა ბათუმში ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას; ამით „ივერიის„ მეთვალყურეს საბუთი მისცემია და ჩვენს წინააღმდეგ შემდეგს სწერს: ბ.ბ. მახარაძე და სამსონია „მიკერძოებია მხოლოდ ერთ გაზეთს—„ჩანგს“, განსაკუთრებული ენერგიით უმაცადინიათ და მეტი გაუვრცელებიათო“, რასაკვირველია, ბ. მეთვალყურეს ეს დიდ დანაშაულობათ აღუნიშნავს და ამხედრებს სხვა რედაქციებს ჩვენს წინააღმდეგ ზომების მისაღებათ. ბ. მეთვალყურეს დამშვიდებით უნდა მოვახსენოთ, რომ ამის მსგავსი არაფერიც არ მომხდარა; ამას დავამტკიცებთ იმ მკითხველი საზოგადოების საშვალებით, რომლებშიაც ჩვენ გვიხდება გავრცელება „დროების“, „ჩანგის“, „ზაკავკაზიეს, „ივერიის“ და სხვა გაზეთებისა. ბათუმის მკითხველი საზოგადოება ჩვენ დიდი ხანია გვიცნობს და თუ ასეთი ცალმხრივობა გამოჩნდებოდა ჩვენში, ბ. მეთვალყურემდისაც აღინიშნებოდა ეს. ბ. მეთვალყურეს მიუქცევია ყურადღება მარტო გაზ. „ჩანგის“ რიცხვებისთვის, და დაუნახავს რა, რომ სხვა გაზეთები ცოტა გასაღებულა ის დასკვნა გამოუყვანია, რომ „ჩანგი“ მეტი გაუვრცელებიათ და ამით მიკერძოება გამოუჩენიათო. „ივერია“ რომ ყველაფერს ვაჭრულის თვალით უყურებს ცხადია. მაშასადამე, მან უნდა იცოდეს, რომ ვაჭარი ყოველთვის სცდილობს საქონელი მეტი გაასაღოს. ჩვენ, როგორც ჟურნალ-გაზეთების აგენტები, პირდაპირ ვართ დაინტერესებული იმაში, რომ ის გაზეთები, რომლის აგენტები ჩვენ ვართ, მეტი გსაღდეს. ვცდილობთ მეტი გავასაღოთ, როგორც „ჩანგი“, ისე „ივერია“, „დროება“, „ზაკავკაზიე“ და სხ. რაც მეტი გასაღდება, მით მეტი შემოსავალი გვექნება ჩვენ. თუ აქ დღეს „ჩანგი“ 280 ცალი საღდება დღეში, იმდენივე და მეტიც სხვა გაზეთები რომ გავავრცელოთ, მაშინ ხომ უფრო მოგებული ვიქნებით? მარა საქმე იმაშია, რომ მუშტარს თუ თითონ არ უნდა საქონელი, ვაჭარმა რაც უნდა ეცადოს ვერ აყიდვინებს. რა ჩვენი ბრალია თუ „ივერია“და სხვა გაზეთები აქ უფრო ნაკლები საღდება ვინემ „ჩანგი“. ჩვენ არამც თუ თფილისელი გაზეთები გვაქვს გასაყიდათ, არამედ სატახტო ქალაქებისაც, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე; მაგალითათ: „რეჩი“, „ნოვოე ვრემია“, „ნოვაია რუსი“, „როსსია“, „სლოვო“, „სოვრემენნოე სლოვო“, „რანნეე უტრო“, „რუსსკოე სლოვო“, „ადესსკია ნოვოსტი“ და სხვა მრავალი. ჩვენ გაზეთების გავრცელების საქმეში, რასაკვირველია, პარტიის გარეშე ვიდექით და ვიქნებით, რადგან, ვიმეორებთ, ეს არის ჩვენი პირდაპირი ინტერესი. თუ არა და დაგვიმტკიცეთ ბათუმის მკითხველო საზოგადოების საშუალებით წინააღმდეგი.

რაც შეეხება ბათუმში „ჩანგი“-ს ხელის მომწერლების ყოლას, ამაზე შემდეგი უნდა მოგახსენოთ: „ჩანგის“ რედაქცია თავის დროზე ეცადა, როგორც ბათუმში ისე სხვა პროვინციებში გაზეთის გავრცელებას, ამისთვის უკვე სათანადო ზომა აქვს მიღებული—ხელის მომწერლები მეტი შეიძინონ, მაგრამ ამავე დროს არც „დროების“, „ზაკავკაზიეს“ და სხვა რედაქციებისთვის შეუშლია ხელი ვინმეს—ნუ შეიძენთ ხელის მომწერლებსო და სხ.

ჩვენ გვქონდა მონდობილი „ჩანგის“ რედაქციისაგან ხელის მომწერლები შეგვეძინა და მათთვის გაზეთები მიგვეწვდინა დანიშნულ ადრესზე, რისთვისაც ჩვენ თითო ხელის მომწერზე 15 კ. ვიღებდით. ამავე დროს ჩვენ მოწადინებული ვიყავით სხვა გაზეთების ხელის მომწერლებიც გვეშოვა, რისთვისაც უკვე გვქონდა ზომა მიღებული. წელს, 21 თებერვალს „დროების“ რედაქციას გავუგზავნეთ 8 მან. და მივსწერეთ, რომ ყოველთვიურათ მარტის პირველიდან ეგზავნა ხუთ-ხუთი ცალი ხელის მომწერლებისთვის, (ვთხოვთ „დროების“ რედაქციას აღადგინოს ეს ფაქტი). ასეთი ხელის მომწერნი იყვენ კიდევ სხვები, მაგრამ „დროების რედაქციამ ერთ კვირას გზავნა გაზეთი და შემდეგ შეწყვიტა, რა მიზეზით —არ ვიცით; ფულიც უკან დაგვიბრუნა.

რაც შეეხება ჩვენი წერილის მოთავსებას „ჩანგის„ 43 №-ში, მას სულ სხვა მიზანი ქონდა, ეს გაზეთ „ივერიის“ ბ. მეთვალყურესაც უნდა გაეგო და არ გადაეფუჩეჩებია. ჩვენ ვწერდით იმაზე, რომ ზოგიერთმა ხელის მომწერლებმა და დღიურათ გაზეთის მყიდველებმა ისარგებლეს შემთხვევით და დროზე ანგარიში არ გაგვისწორეს, რამაც საშუალება მოგვისპო რედაქციებისთვის ხვედრი ანგარიშები თავის დროზე გაგვეგზავნა. ამიტომაც გამოვაცხადეთ პირველ სექტემბრიდან აგენტობისათვის თავის დანებება იმ შემთხვევაში, თუ თითონვე ხელის მომწერლები არ გაუწევდენ ამ გარემოებას ანგარიშს.

პატივის ცემით **გიორგი მახარაძე**
და **პავლე სამსონია.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ნ. მელიქ-შახნაზარიანცი.**


## განცხადებანი

### გამოცდილი მასწავლებლები

(მონაწილეობას ღებულობენ მასწავ. ქალებიც, მცოდნე ზედმიწევნით უცხო ენებისა),

ამზადებენ **ქალ-ვაჟთ**, ყველა **დაბალ** და **საშუალო** სასწავლებლებისათვის: **სამოქალაქო** სასწ., **სასულიერო, საფერშლო, ტეხნიკის, რეალურ, საქალებო** და **სავაჟო გიმნაზიის, სამასწავლებლო სემინარიისთვის.** ამზადებენ **სოფლის ერთ და ორ კლასიან მასწავლ.**, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, **ყველა ხარისხჩინზე.**

აგრეთვე ღებულობენ მოსწავლე ვაჟებს და ქალებს, რომლებმაც **ანბანი** სრულებით არ იციან.

მსურველთ იყვანენ მთელ ხარჯზედაც.

თვიურათ ფასი 5 მ.—20 მ.-დე, იყვანენ **პირობითაც.**

ამ ეზოშივე გამოცდილი **მკერავი** ქალი ღებულობს და კერავს **ზაკაზებს ხელმისაწვდომ ფასებში, იყვანს მოსწავლე ქალებს.**

ადრესი: ავჭალის ქუჩა, სახლი № 133, ბინა 26, (ვოგზლის პირდაპირ—ნახალოვკაში).

მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე, თავდება საღამოს 9 საათზე. (24—6)

### დ. ჩოხატაურში
გაიხსნა
### წიგნის მაღაზია
საკანცელიარიო ნივთებით და ყდების საკაზმავი განყოფილებით.

მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელოები, რვეულები და საკანცელიარიო ნივთები. ვყიდით იაფათ. ვკისრულობთ ჟურნალ-გაზეთების აგენტობას და ვღებულობთ სასტამბო საქმეებს. იმედი გვაქვს ყველა მასწავლებლები და საზოგადოების შეგნებული ნაწილი მხარს დაგვიჭერს, რომ ჩოხატაურში იარსებოს ისეთმა მიმპატიურმა დაწესებულებამ, როგორიც არის წიგნის მაღაზია.

(3—3) **სილ. თავართქილაძე.**

ექიმმა
### არდაზიანმა
განაახლა ავათმყოფების მიღება. დროებით მე-2 თუმანოვის ქუჩა № 27. დილის 8—9 ნახ. საათ. და საღამოს 4—9 საათამდის.

**კბილის ექიმი**

ს. ნ. მატროსოვიჩ-სანოვიჩი.

დაპლომბის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 (50—16

# პროვოდნიკის
### ამხანაგობა
### რიგაში

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. П. Р. З. ПРОВОДНИКЪ РИГА 1.

1888

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

1908 წ.

### საფაბრიკო საწყობის განყოფილება
### ამიერ-კავკასიისთვის
### თფილისში სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდათ და ცალობით**

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.

დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.

დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.

რეზინის ღრუბელი.

სავარცხლები რქის რეზინისაგან.

№ 4.

### ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო
### გალოშების „პროვოდნიკისა“
№ 2.

(24—б.—38).


„ხორაპანი“ მადათოვის კუნძულზე. სტამბის ტელეფონი № 539